



# ენერგოდაიჯესტი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო  
ანალიტიკური დეპარტამენტი



16/05/2016

№5


## სარჩევი

საქართველო.....	3
ავსტრალიური კომპანია ქართული ნავთობის ჩინეთში გატანას გეგმავს.....	3
საქართველოში საწვავის მოხმარება იზრდება .....	4
2016 წლის მარტის თვის ანგარიშსწორების მაჩვენებლები .....	5
რეგიონი .....	7
აზერბაიჯანი 2050 წლისათვის წელიწადში 50 მლრდ მ <sup>3</sup> გაზის ექსპორტს გეგმავს .....	7
„შაჰ-დენიზმა“ 1.5 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების კონტრაქტი გააფორმა .....	8
KfW „კავკასიის ელექტროგადამცემი ხაზების“ პროექტისათვის 10 მლნ ევროს გამოყოფს .....	9
მსოფლიო ბანკი სომხეთის ენერგეტიკული სისტემის ფინანსურ მდგრადობასა და მართვას მხარს უჭერს.....	10
„გაზპრომმა“ 1-ელ კვარტალში გაზის მოპოვება 1.1%-ით - 115 მლრდ მ <sup>3</sup> -მდე შეამცირა	11
მსოფლიო.....	14
აშშ და რუსეთი ევროპის გაზის ბაზრის წილისთვის ირბძვიან.....	14
2017 წლისათვის საერთო საბადოდან ბუნებრივი გაზის წარმოებით ირანი ყატარს გაუსწრებს.....	15
დიდ ბრიტანეთში გაზის ფასი კვლავ შემცირდა.....	16
იტალიურ-ბერძნულმა ერთობლივმა საწარმომ TAP-ის კონტრაქტი მოიგო.....	16
ანალიტიკა .....	18
IEA 2040 წლისთვის მსოფლიო ენერჯის მოხმარების 48%-ით ზრდას პროგნოზირებს ...	18
გამოყენებული ლიტერატურა.....	20

### ავსტრალიური კომპანია ქართული ნავთობის ჩინეთში გატანას გეგმავს

ავსტრალიური კომპანია Skyland Petroleum 2016 წელს რუსეთიდან, ტაჯიკეთსა და საქართველოდან ჩინეთში ნავთობისა და გაზის ექსპორტს გეგმავს. ამის შესახებ ინფორმაციას ჩინური პრესა ავრცელებს. (ნოზაძე., 2016)

კომპანიის მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის დევიდ რობინსონის განცხადებით, კომპანია გეგმავს რუსეთში, აღმოსავლეთ ციმბირში მდებარე რამდენიმე საბადოს აქციებიც შეისყიდოს, რის შემდეგაც, ენერგორესურსს მილსადენებით - „აღმოსავლეთ ციმბირი-წყნარი ოკეანე“ და „ციმბირის ძალა“ ხეილუნძიანის, ლიანონსა და ძიანსუს პროვინციებში, ასევე პეკინში, შანხაისა და ტიანძინში გადატვირთავს.



*Europe for Georgia., 2016. ავსტრალიური კომპანია ქართული ნავთობის ჩინეთში გატანას გეგმავს*

როგორც Skyland Petroleum-ის ვებ-გვერდზეა აღნიშნული, რუსეთის გარდა, კომპანია საბადოების ლიცენზიას ტაჯიკეთსა და საქართველოშიც ფლობს. კერძოდ - XIIG ბლოკის აქციების 20%-ს. ამავე ბლოკის 60%-ის მფლობელი კი ადგილობრივი ოპერატორი „საქართველოს ნავთობი და გაზი“. საბადოს ფართობი 289 მ<sup>2</sup>-ია და სამგორის ველზე მდებარეობს.

როგორც ავსტრალიური კომპანიის ქართველი პარტნიორები აცხადებენ, ჯერჯერობით, პროექტის განხორციელება მოლაპარაკებების სტადიაზეა, თუმცა,

სავარაუდოდ, ერთ თვეში ინვესტორებთან შეთანხმება გაფორმდება და საბადოს ძებნა-ძიების პროცესი დაიწყება.

„წინასწარი კვლევების მიხედვით, პერსპექტიული ადგილია, თუმცა, საჭიროა, განისაზღვროს ენერგორესურსების რა მარაგებია, რამდენად კომერციულად დასაბუთებულია მისი მოპოვება არსებული ტექნოლოგიების გათვალისწინებით. რამდენიმე საცდელი ჭა გაბურღულია, თუმცა საჭიროა კიდევ რამდენიმეს გაბურღვა. მარაგის მოცულობაზე 100%-იანი პროგნოზის გაკეთება შეუძლებელია. პარტნიორთან შეთანხმება 90%-ით თითქმის შევძელით. ასე რომ სავარაუდოდ, ზაფხულში ძიება დაიწყება. თუ კარგ შედეგებს მივიღებთ, ექსპორტის დაწყება მომავალი წლისთვის ნამდვილად შესაძლებელია“, - „საქართველოს ნავთობისა და გაზის“ წარმომადგენელმა, მიხეილ დალაქიშვილმა განუცხადა eugeorgia.info-ს.

კომპანია XIG-ს გარდა კიდევ 9 საბადოს ლიცენზიას ფლობს, თუმცა, როგორც მენეჯმენტი აცხადებს, ნავთობზე საერთაშორისო ფასების კლებამ კვლევები შეაფერხა. „ინვესტორებს მერყევმა ფასებმა გარკვეული პრობლემები შეუქმნა, ისინი თავს იკავებენ ძიებების დაფინანსებისგან, ნაკლები მოტივაცია აქვთ. თუმცა, ბოლო პერიოდში ერთი ბარელი ნავთობის ფასი 40 აშშ დოლარზე დასტაბილურდა. თუ ასე გაგრძელდება, ვითარება ჩვენს ბიზნესშიც გაუმჯობესდება“, - აღნიშნა მიხეილ დალაქიშვილმა.

## საქართველოში საწვავის მოხმარება იზრდება

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის განცხადებით, მიმდინარე წლის აპრილის თვეში საქართველოში ნავთობპროდუქტების (ბენზინი და დიზელის საწვავი) იმპორტმა 87.1 ათასი ტონა შეადგინა, რაც 13.5 ათასი ტონით აღემატება მარტის თვის მაჩვენებელს. მათ შორის, ბენზინის საწვავის იმპორტმა - 45.4 ათასი ტონა, ხოლო დიზელის საწვავის იმპორტმა 41.7 ათასი ტონა შეადგინა.

საწვავის კატეგორიების მიხედვით, 2016 წლის აპრილის თვეში საქართველოში ბენზინის საწვავის იმპორტმა შეადგინა: A-91 რეგულარი მარკის ბენზინი - 32.2 ათასი ტონა, ანუ 70.9%; A-95 პრემიუმი მარკის ბენზინი - 11.7 ათასი ტონა, ანუ 25.8%, A-98 სუპერი მარკის ბენზინი - 1.5 ათასი ტონა, ანუ 3.3%.

დიზელის საწვავის იმპორტმა კატეგორიების მიხედვით, მიმდინარე წლის აპრილის თვეში შეადგინა: 50PPM (ევრო დიზელი) - 36.2 ათასი ტონა, ანუ 86.8%, L-62 დიზელის საწვავი - 5.5 ათასი ტონა, ანუ 13.2 %.

ქვეყნების მიხედვით, 2016 წლის აპრილის თვეში ბენზინისა და დიზელის საწვავის იმპორტის ყველაზე დიდი მოცულობა განხორციელდა რუმინეთიდან - 27.2 ათასი ტონა, რაც მთელი იმპორტის 31.2%-ს შეადგენს. შემდეგ მოდიან: რუსეთი - 21 ათასი ტონა (24.1%), ბულგარეთი - 13.8 ათასი ტონა (15.9%), აზერბაიჯანი - 13.4 ათასი ტონა (15.4%), საბერძნეთი - 7.5 ათასი ტონა (8.6%), თურქმენეთი - 3.4 ათასი ტონა (3.9%), უკრაინა - 0.7 ათასი ტონა (0.8%), დიდი ბრიტანეთი - 0.1 ათასი ტონა (0.1%).



*The Nation., 2015., Govt. increases sales tax on petroleum products*

მიმდინარე პერიოდში ასევე ფიქსირდება ყველა სხვა ნავთობპროდუქტის იმპორტის ზრდა. კერძოდ:

მიმდინარე წლის აპრილის თვეში საქართველოში იმპორტირებულ იქნა 12.7 ათასი ტონა სანავთობო ბიტუმი, რაც 5.8 ათასი ტონით აღემატება მარტის თვის მაჩვენებელს.

აპრილის თვეში საქართველოში საცხებ-საპოხი მასალების იმპორტმა შეადგინა 1.8 ათასი ტონა, რაც 0.2 ათასი ტონით აღემატება წინა თვის მაჩვენებელს.

2016 წლის აპრილის თვეში საქართველოში საავიაციო ნავთის იმპორტმა შეადგინა 8.3 ათასი ტონა, რაც 6.3 ათასი ტონით აღემატება მარტის თვის მაჩვენებელს. (*Oilnews.ge., 2016*)

## 2016 წლის მარტის თვის ანგარიშსწორების მაჩვენებლები

2016 წლის აპრილის თვეში ესკო-ს მეშვეობით შესყიდულმა (გაყიდულმა) საბალანსო ელექტროენერჯის რაოდენობამ 154 606 849.9 კვტ.სთ შეადგინა, რაც აღნიშნულ თვეში ქსელში მთლიანი მიწოდების 18%-ს წარმოადგენს. საბალანსო ელექტროენერჯის ღირებულება კი 16 339 088.3 ლარი იყო. (*ესკო., 2016*)

აპრილში საბალანსო ელექტროენერჯის საშუალო შეწონილმა ფასმა ერთ კვტ.სთ-ზე 10.5682158 თეთრი შეადგინა, ხოლო დერეგულირებული ელექტროსადგურების საბალანსო ელექტროენერჯის ფასმა - 11.303 თეთრი/კვტ.სთ.

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში ესკო-ს მიერ შესყიდული საბალანსო ელექტროენერჯის უმეტესი ნაწილი ჰიდროელექტროსადგურების მიერ წარმოებული



ელექტროენერჯისაგან შედგება. საბალანსო ელექტროენერჯის მთლიან მოცულობაში ჰიდროელექტროსადგურების წილი - 70%, თბოსადგურის - 14%, ხოლო იმპორტის 16% იყო.

2016 წლის აპრილის თვეში ესკო-დან საბალანსო ელექტროენერჯის შესყიდვა განახორციელეს გამანაწილებელმა ენერჯოკომპანიებმა და პირდაპირმა მომხმარებლებმა. მათი წილობრივი მონაწილეობა საბალანსო ელექტროენერჯის შესყიდვაში, შესაბამისად, 98.256%-სა და 1.143%-ს შეადგენს. აღნიშნულ თვეში საბალანსო ელექტროენერჯია გატანილ იქნა საექსპორტოდ, რომლის წილმაც საბალანსო ელექტროენერჯის შესყიდვაში 0.001% შეადგინა. ამასთანავე, ტრანზიტის უზრუნველყოფის მიზნით, დანაკარგების შესყიდვა მოხდა დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ, რომლის წილიც 0.6%-ია.

აპრილის თვეში გარანტირებული სიმძლავრის წყაროების მიერ ფაქტობრივად უზრუნველყოფილი გარანტირებული სიმძლავრის მთლიანი ღირებულება იყო 14 851 130.00 ლარი, ხოლო გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმოების მიერ ყოველ მოხმარებულ კვტ.სთ-ზე გადასახდელმა გარანტირებული სიმძლავრის საფასურმა 2.0813 შეადგინა.

მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე მნიშვნელოვანი ენერგეტიკული მოვლენების ანალიზი და მათი გავლენა საქართველოზე.

### აზერბაიჯანი 2050 წლისათვის წელიწადში 50 მლრდ მ<sup>3</sup> გაზის ექსპორტს გეგმავს

აზერბაიჯანის ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ნატიგ აბასოვის თქმით, აზერბაიჯანს შეუძლია, 2050 წლისათვის გაზის წლიური ექსპორტი 50 მლრდ მ<sup>3</sup>-მდე გაზარდოს. (Shaban., 2016)

აზერბაიჯანის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ბუნებრივი გაზის მოპოვებისა და ექსპორტის ზრდა. „სამუშაოები, რომლებიც შესრულებულია ქვეყანაში გაზის მოპოვებისა და „სამხრეთის გაზის დერეფნის“ განხორციელებისათვის, საშუალებას იძლევა, აზერბაიჯანული გაზის ექსპორტი 2050 წლისათვის წელიწადში 50 მ<sup>3</sup>-მდე გაიზარდოს“, - განაცხადა მან ოტო ვოლფთან გერმანიის რურას უნივერსიტეტის სამთო და ენერგეტიკული სამართლის ინსტიტუტში შეხვედრისას.

მინისტრის მოადგილემ მსმენელებს შეახსენა, რომ ევროპულ ბაზარზე აზერბაიჯანული გაზის ექსპორტი 2019-2020 წლებში გაზის თურქეთისათვის მიწოდებით დაიწყება.



*Energy Policy Turkey., N.D. Azerbaijan Gas Potential*

ამჟამად აზერბაიჯანი წელიწადში 29 მლრდ მ<sup>3</sup> გაზს აწარმოებს, მათ შორის ნავთობის მოპოვებისათვის საჭირო გაზს. აქედან, 35% „შაჰ-დენიზ 1“-ზე მოდის. ქვეყანა ემზადება 2018 წლისათვის „შაჰ-დენიზის“ მე-2 ფაზის დასაწყებად 400 მლრდ მ<sup>3</sup> რეზერვითა და წელიწადში 16 მლრდ მ<sup>3</sup> მოპოვებით.

პროგნოზების თანახმად „შაჰ-დენიზი 3“, „შაჰ-დენიზის“ საბადოს ყველაზე დიდი შრე 500 მლრდ მ<sup>3</sup> რეზერვით, ექსპლუატაციაში 2032 წელს შევა. 2032 წლისათვის

აზერბაიჯანი ასევე გეგმავს შეფგან-ასიმანის, ნახიჩევანის, არაზ-ალოვ-შარგის, აფშერონის, უმიდის და ბაბეკის გაზის საბადოების ათვისებას.

შეხვედრაზე აბასოვა აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის დამაკავშირებელი (AGRI) პროექტიც აღნიშნა - აზერბაიჯანული გაზის გათხევადებული სახით შავი ზღვის გავლით ევროპაში გატანის ათი წლის წინანდელი კონცეპტუალური გეგმა.

AGRI-ის აქციონერები არიან აზერბაიჯანული სახელმწიფო კომპანია „სოკარი“, ქართული „ნავთობისა და გაზის კორპორაცია“, რუმინული სახელმწიფო კომპანია „რომგაზი“ და უნგრული სახელმწიფო კომპანია MVM. მათ 2011 წლის იანვარში დააფუძნეს AGRI LNG, რომელშიც თითოეული მეოთხედ წილს ფლობს. საბჭოს „სოკარი“ უხელმძღვანელებს.

AGRI წელიწადში 8 მლრდ მ<sup>3</sup> გაზის ექსპორტს ითვალისწინებს. იგი პირველ ეტაპზე წელიწადში 2 მლრდ მ<sup>3</sup>-ის, ხოლო მეორე და მესამე ეტაპებზე კი გაორმაგებული მოცულობის ექსპორტს გულისხმობს. საექსპორტო ტერმინალი საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე - ყულევში იქნება, სადაც „სოკარი“ უკვე ახორციელებს ნავთობის ექსპორტის ტერმინალის ექსპლუატაციას, ხოლო იმპორტის ტერმინალი რუმინეთში მდებარე კონსტატაში განთავსდება.

## „შაჰ-დენიზმა“ 1.5 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების კონტრაქტი გააფორმა

3 მაისს „შაჰ-დენიზის“ კონსორციუმმა BOS Shelf LLC, Saipem Contracting Netherlands B.V. და Star Gulf FZCO კონსორციუმთან „შაჰ-დენიზის“ საბადოს ათვისების მე-2 ეტაპის ფარგლებში სიღრმული წყალქვეშა მოპოვების სისტემის ტრანსპორტირებისა და მონტაჟის მიზნით, 1.5 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების კონტრაქტის გაფორმების შესახებ განაცხადა. (*Oil&Gas Eurasia., 2016*)

კონტრაქტი ითვალისწინებს ახლადამუშავებული წყალქვეშა სამშენებლო გემის „ხანკენდის“ მენეჯმენტსა და მართვას, პროექტის ხუთივე ფლანგისათვის სიღრმული წყალქვეშა მოპოვების სისტემისა და წყალქვეშა კონსტრუქციების ტრანსპორტირებისა და მონტაჟის მიზნით.

როგორც „ბრიტიშ პეტროლიუმის“ ვიცე პრეზიდენტმა „შაჰ-დენიზის“ მე-2 ფაზისა და ზღვისქვეშა პროგრამის საკითხებში, ფრანკ უილსონმა აღნიშნა, „ხანკენდი“, რომლის მშენებლობა ბაქოს გემთსაშენ ქარხანაში მიმდინარეობს, უზურუნველყოფს მე-2 ფაზის მოპოვების სისტემის წყალქვეშა კონსტრუქციების მონტაჟისათვის აუცილებელ ხელშეწყობას.



კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულება 2022 წლის შუა პერიოდისათვის იგეგმება.

„შაჰ-დენიზის“ საბადოს მე-2 ფაზის ათვისებისა და სამხრეთ კავკასიური მილსადენის გაფართოების პროექტის სამუშაოები გრძელდება. პირველი ფაზისათვის საჭირო საპროექტო, მომარაგებისა და მშენებლობის სამუშაოების 70%-ზე მეტი აზერბაიჯანსა და საქართველოში უკვე დასრულებულია და ფაზის პირველი მიწოდების პროექტით გათვალისწინებული გრაფიკი - 2018 წელი ძალში რჩება. (*News.Az., 2016*)

## KfW „კავკასიის ელექტროგადამცემი ხაზების“ პროექტისათვის 10 მლნ ევროს გამოყოფს

როგორც 28 აპრილს სომხეთის ფინანსთა მინისტრმა გაგიკ ხაჩატრიანმა „კავკასიის ელექტროგადამცემი ხაზების“ პროექტის შესახებ შეთანხმების დამტკიცების მიზნით შეკრებილ მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე განაცხადა, გერმანული ბანკი KfW სომხეთს ამ პროექტისათვის 10 მლნ ევროს დახმარებას გამოუყოფს. (*Energy Advisory., 2016*)

პროექტის პირველი ეტაპის ღირებულება 105.2 მლნ ევროს შეადგენს. ეს ფაზა



ევროპის საინვესტიციო ბანკისა (10 მლნ აშშ დოლარის კრედიტი) და ევროკავშირის სამეზობლო ინვესტიციის (10 მლნ ევროს გრანტი) მხარდაჭერით ფინანსდება. გარდა ამისა, 75 მლნ ევროს KfW და 10.2 მლნ ევროს გერმანიის მთავრობა გამოყოფს.

*Energy Advisory., 2016. KfW to provide 10 million euros for Caucasus Power Lines I project*

პროექტი გულისხმობს სომხური და ქართული ენერგოსისტემების გაერთიანებას საქართველოს საზღვართან სომხურ აირუმში მაღალი ძაბვის მუდმივი დენის (HVDC) ხაზის მშენებლობით. დაგეგმილი ქვესადგურისა და გადამცემი ხაზის საშუალებით, საქართველოსა და სომხეთის ენერგოსისტემები ერთიან რეჟიმში იმუშავებს, რაც ელექტროენერჯის გადადინების საშუალებას უზრუნველყოფს.

## მსოფლიო ბანკი სომხეთის ენერგეტიკული სისტემის ფინანსურ მდგრადობასა და მართვას მხარს უჭერს

მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ, სომხეთის ენერგეტიკული სისტემის ფინანსური გაჯანსაღების ფარგლებში, 30 მლნ აშშ დოლარის ოდენობის კრედიტი დაამტკიცა. პროექტი დაეხმარება სომხეთის მთავრობას, უზრუნველყოს ადეკვატური და საიმედო ენერგომომარაგება ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ელექტროენერჯის მწარმოებელი კომპანიებისა და კერძო სადისტრიბუციო კომპანიის მართვის გაუმჯობესების გზით. (*Energy Advisory*, 2016)

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ელექტროენერჯის მწარმოებელი კომპანიები ძირითადი ხარჯების ფინანსირებისათვის სახსრების უკმარისობას განიცდიან. ამიტომ სომხეთის ატომურ ელექტროსადგურსა და ერევნის თბოსადგურს 104 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ფულადი დეფიციტი დაუგროვდა, რაც მათი 2015 წლის მოსალოდნელი ამონაგების 80%-ს შეადგენს. თუ აღნიშნული ფინანსური პრობლემები არ გადაიჭრება, ეს ობიექტები (2012-2014 წლებში ისინი ქვეყნის ელექტროენერჯიაზე მოთხოვნის 42%-ს აკმაყოფილებდნენ) ვერ შეინარჩუნებენ გენერაციის არსებულ დონეს, რაც უარყოფითად აისახება ელექტროენერჯისა ფასსა და მიწოდებაზე.



*Public Radio Of Armenia*, 2016. World Bank approves US\$30 million loan for improved governance in Armenia's energy sector.

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გენერაციის ობიექტების ფინანსური და მმართველობითი მდგომარეობის გაუმჯობესება და უკეთესად მართული ფინანსური ურთიერთობები კერძო სადისტრიბუციო კომპანიებთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ელექტროენერჯის ადეკვატური და საიმედო მიწოდების

უზრუნველსაყოფად ხელმისაწვდომი ტარიფით“, - აღნიშნა ლორა ბეილიმ, მსოფლიო ბანკის მენეჯერმა სომხეთში.

პროგრამა მიზანს ოთხი მიმართულებით ისახავს: სახელმწიფო კომპანიებიდან ფინანსური სახსრების არაპროფილურ საქმიანობებთან დაკავშირებით გადინების თავიდან აცილება, ძვირადღირებული კომერციული კრედიტების შემცირება, დებიტორული დავალიანების გადახდა და თესის ბუნებრივი გაზის დავალიანების დაფარვა, ტარიფში ელექტროენერჯის ღირებულების ცვლილების ასახვა და ერევნის თბოსადგურში კომბინირებული ციკლის გაზის ტურბინის გამომუშავების სიმძლავრის შენარჩუნება.

2012-2014 წლებში სომხეთის ელექტროენერჯეტიკულმა ქსელმა სერიოზული ზარალი განიცადა 50 მლნ აშშ დოლარის ოდენობის შემოსავლების დეფიციტის გამო, რომლებიც არაკონტროლირებადმა მიზეზებმა გამოიწვია (მაგ.: წყალმარჩხი წელი, დაგეგმილზე გრძელვადიანი სარემონტო საუბუშაოები აეს-ში). გარდა ამისა, არსებული კანონმდებლობა არ იძლევა საშუალებას, მარეგულირებელმა კომისიამ მოახდინოს ტარიფის მარჟის კორექტირება, რათა მასში ასახულ იქნას ფაქტიური და პროგნოზირებადი ფასების ცვლილება.

წინა წლებში დაგროვილი ზარალის კომპენსირების მიზნით, ტარიფის მარჟის გადახედვა 2015 წელს განხორციელდა. მომავალში მარეგულირებელი კომისია მეთოდოლოგიაში შეიტანს ცვლილებებს, რათა შესაძლებელი გახდეს ზარალის (მოგების) 100%-ის, პლუს ზემოაღნიშნული სხვაობის გამო წარმოქმნილი საპროცენტო განაკვეთის (მოგების) ტარიფში ასახვა.

მსოფლიო ბანკი უზრუნველყოფს IBRD-ის მიერ 30 მლნ აშშ დოლარის გამოყოფას 25 წლის ვადითა და 14.5 წლიანი საშეღავთო პერიოდით. სომხეთის მსოფლიო ბანკთან (1992) და განვითარების საერთაშორისო ასოციაციასთან (1993) მიერთების პერიოდიდან მისი ჯამური დავალიანება IDA-სა და IBRD-ის მიმართ 2.3 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს.

## **„გაზპრომმა“ 1-ელ კვარტალში გაზის მოპოვება 1.1%-ით - 115 მლრდ მ<sup>3</sup>-მდე შეამცირა**

რუსეთის ფედერაციის ენერჯეტიკის სამინისტროს მონაცემების თანახმად, 2016 წლის პირველი კვარტლის შედეგების მიხედვით, „გაზპრომმა“ გაზის მოპოვება 2015 წლის იანვარ-მარტის პერიოდთან შედარებით, 1.1%-ით - 115 მლრდ მ<sup>3</sup>-მდე შეამცირა. (*Oil&Gas Eurasia., 2016*)

„როსსტატის“ მონაცემების თანახმად, რუსეთის ტერიტორიაზე ჯამში 168.3 მლრდ მ<sup>3</sup> ბუნებრივი გაზი (მომყოლი გაზების ჩათვლით) იქნა მოპოვებული. ამასთან, ამ პერიოდისათვის ევროპაში გაზის ექსპორტის მოცულობა 12.5%-ით, 48.9 მლრდ მ<sup>3</sup>-დე გაიზარდა, რამაც დსთ-ს ქვეყნებსა და შიდა ბაზაზარზე საწვავის მიწოდების შემცირება (0.2%-ით, 142.2 მლრდ მ<sup>3</sup>) გამოიწვია.



*Allpetro., 2016. «Газпром» снизил добычу газа в 1-м квартале на 1,1% до 115 млрд куб. м — МЭР РФ*

სამი თვის განმავლობაში ჯამურ მოპოვებაში „გაზპრომის“ ჯგუფის საწარმოების წილი 68.3%-მდე შემცირდა, მაშინ, როდესაც 2015 წლის პირველ კვარტალში ეს მაჩვენებელი 69.1% იყო. ეს ნიშნავს, რომ დამოუკიდებელი მწარმოებლები და ნავთობკომპანიები ინარჩუნებენ გაზის წარმოების ზრდის მიმართულებით ადებულ კურსს. პირველ კვარტალში მათმა ჯამურმა მოპოვებამ 53.3 მლრდ მ<sup>3</sup> შეადგინა.

შეგახსენებთ, რომ გასულ წელს „გაზპრომმა“ 418.5 მლრდ მ<sup>3</sup> ბუნებრივი გაზი მოიპოვა, რაც მთლიანი რუსული მოპოვების 635.8 მლრდ მ<sup>3</sup>-დან 65.8%-ს შეადგენდა. 2015 წლის მეორე ნახევრის მთლიანი პერიოდის განმავლობაში დამოუკიდებელი მწარმოებლების - კერძო ნავთობკომპანიების - წილი წარმოების სრულ მოცულობაში თანდათან იზრდებოდა. პირველ კვარტალში მათმა ჯამურმა მოპოვებამ 53.3 მლრდ მ<sup>3</sup> შეადგინა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემების თანახმად, მარტში რუსული გაზის საშუალო საკონტრაქტო ფასი გერმანიის საზღვარზე თებერვლის მაჩვენებელთან

შედარებით, 14.6%-ით დაეცა - 147.2 აშშ დოლარამდე ათას მ<sup>3</sup>-ზე. წლიურ ჭრილში მარტში ფასები 56%-ით შემცირდა.

იანვარ-მარტის პერიოდში რუსული გაზის ფასმა ათას მ<sup>3</sup>-ზე 167.6 აშშ დოლარი შეადგინა (-50.2% წლიურ ჭრილში). (*Вести Экономика., 2016*)



მსოფლიოში მიმდინარე ძირეული ენერგეტიკული ცვლილებების შესახებ, ან მომხდარი მოვლენების შესახებ ინფორმაცია და მისი ანალიზი, სხვადასხვა ქვეყნის ენერგეტიკული სისტემის ანალიზი.

## აშშ და რუსეთი ევროპის გაზის ბაზრის წილისთვის ირბმვიან

ვინაიდან, აშშ ევროპის გაზის ბაზარზე შესასვლელად და გათხევადებული გაზის პირველი მიწოდებისთვის ემზადება, (0.42 აშშ დოლარი) მოსალოდნელია, რომ ნორვეგია და რუსეთი წარმოების ზრდის საშუალებით ფასების შემცირებას შეეცდებიან, რათა აშშ-სათვის ექსპორტი ნაკლებად მიმზიდველი გახადონ. (Lakshmi., 2016)

წელს განხორციელებული მიწოდების შედეგად, ევროპა ამერიკული გაზის მესამე კონტინენტური მომხარებელი გახდება. აშშ კი მომავალი წლიდან გათხევადებული გაზის გლობალური მიწოდების 15-20%-ით გაზრდას გეგმავს.

რუსული გიგანტი „გაზპრომი“, რომლის უმსხვილესი მომხარებლები ევროპის ქვეყნები არიან და ნორვეგია, რუსეთის შემდეგ გაზის მეორე უდიდესი მომწოდებელი



ევროპაში, ბაზრის წილის შენარჩუნებისათვის ძალისხმევას არ დაიშურებენ. ევროპაში ამერიკული გაზის გამოჩენამ, შესაძლოა, რუსულ მწარმოებლებს საუდის არაბეთის მსგავსი ქმედებისკენ უბიძგოს, რაც გაზის წარმოების მაქსიმალურ ზრდაში გამოიხატებოდა.

World Energy News., 2016. US Battles Russia for European LNG Market.

ამერიკული გაზის გამოჩენა ევროპაში საგრძნობი პირველად 2018 წელს, ხოლო შემდეგ მაშინ იქნება, როდესაც აშშ ბაზრის მნიშვნელოვან წილს დაიკავებს. ნაკლებ სავარაუდოა, რომ აშშ-ს მთავრობა სუბსიდირებას შესთავაზებს იმ ამერიკულ კომპანიებს, რომლებიც ექსპორტს რუსულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულ ევროპულ ქვეყნებში ახორციელებენ.

ბევრ ექსპერტს ენერგეტიკის დარგში არ აქვს იმის მოლოდინი, რომ ამერიკული გათხევადებული გაზი რუსულ ენერგორესურსებს კონკურენციას გაუწევს. სავარაუდოდ, აშშ-ს მწარმოებლებს უფრო მაღალი ფასების მქონე ბაზარზე მოუწევთ შესვლა.

ევროპის მოთხოვნა გათხევადებულ გაზზე იზრდება, ვინაიდან ადგილობრივი ბუნებრივი გაზის წარმოება ეცემა. 2014 წელთან შედარებით, 2015 წელს გაზის იმპორტი 16%-ით გაიზარდა.

## 2017 წლისათვის საერთო საბადოდან ბუნებრივი გაზის წარმოებით ირანი ყატარს გაუსწრებს

ირანული კომპანია Pars Oil and Gas Company-ის (POGC) გენერალური დირექტორის ალი-აკბარ შაბანპურის განცხადებით, მას შემდეგ, რაც რამოდენიმე მიმდინარე პროექტი დასრულდება, ირანისა და ყატარის გაზის წარმოება სამხრეთ პარსისა და ჩრდილოეთის დომის საბადოებიდან 500 მლნ მ<sup>3</sup>-ს გადააჭარბებს. „ამჟამად, სამხრეთ პარსის საბადოდან, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდი დამოუკიდებელ გაზის საბადოს წარმოადგენს, ირანი დღიურად, დაახლოებით, 130 ათას მ<sup>3</sup> გაზს იღებს.“ - დაამატა მან. (*Hellenic Shipping News., 2016*)



*Arabian Gazette., 2012. Iran gas output to exceed Qatari production by 2016 – report.*

ალი-აკბარ შაბანპურმა ხაზი გაუსვა, რომ ირანის უპირატესობა ყატართან მიმართებაში გაზის წარმოების კუთხით გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ამ უკანასკნელის მოპოვება ბოლო სამი წლის განმავლობაში ფიქსირებულ 177 ათას მ<sup>3</sup>-ს/დღეში შეადგენს. „2013 წელს ყატარის გაზის წარმოება საბადოებიდან სამჯერ აღემატებოდა ირანის წარმოებას. დღეს კი ირანს აქვს საშუალება, უფრო მეტი პროექტის განხორციელების ხარჯზე შეამციროს ეს სხვაობა“ - აღნიშნა მან.

უდიდესი ოფშორული საბადოს ფართობი 9 700 კმ<sup>2</sup> -ს შეადგენს, სადაც 3 700 კმ<sup>2</sup> სპარსეთის ყურეში, ირანის საზღვაო ტერიტორიაზეა, ხოლო დარჩენილი 6 000 კმ<sup>2</sup> ყატარის საზღვაო ტერიტორიას ეკუთვნის. გამოთვლების თანახმად, აღნიშნული საბადო შეიცავს მნიშვნელოვანი მოცულობის ბუნებრივ გაზსა (მსოფლიოს მთლიანი რეზერვის 8%-მდე) და დაახლოებით, 18 მლრდ ბარელ კონდენსატს.

ირანმა სამხრეთ პარსზე 20-ზე მეტი პროექტი განსაზღვრა, რომლებიც დაყოფილია ფაზებად. ათეულზე მეტი ფაზა ოპერატიულად დასრულდა, ზოგიერთი მათგანი მალე დასრულდება, ხოლო დარჩენილი ფაზები კომპანიებს გადაეცემა.

## დიდ ბრიტანეთში გაზის ფასი კვლავ შემცირდა

ეროვნული ქსელის სისტემის ოპერატორის მონაცემების თანახმად, ბრიტანეთში გაზის ფასი 2016 წლის აპრილში, წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით, 37%-ით შემცირდა. (Froley., 2016)

ზოგადად, ენერგეტიკული პროდუქტების, მათ შორის ნავთობის ფასმაც საგრძნობლად დაიწია. ხოლო ევროპა აშშ-ს, რუსეთსა და ნორვეგიას შორის გაზის ფასების ომის მომსწრე გახდა.

2016 წლის აპრილში ქსელის ოპერატორის მიერ დაფიქსირებულმა საშუალო ფასმა 4.22 აშშ მლნ დოლარი/ბრიტანულ თერმულ ერთეულზე შეადგინა, რაც წინა წლის აპრილთან შედარებით, 37%-ით ნაკლებია. ბუნებრივი გაზის საშუალო ფასი წარმოადგენს საბაზისო დღიურ ფასს მრეწველობის სექტორის მიერ მოხმარებული გაზისათვის.

2016 წლის მარტიდან აპრილამდე ფასის უმნიშვნელო, 1%-იანი ცვლილება დაფიქსირდა.

ბრიტანეთის ეროვნული გადამცემი სისტემის გაზის მოთხოვნამ 2016 წლის აპრილში, საშუალოდ, 255 მლნ მ<sup>3</sup> შეადგინა. ეს მონაცემი წინა წლის იმავე მაჩვენებელს - 207 მლნ მ<sup>3</sup>-ს 23%-ით აღემატება, ვინაიდან რესურსის დაბალმა ფასებმა გაზის თბოსადგურიდან მიღებული ელექტროენერჯის გენერირების ზრდა გამოიწვია. რაც შეეხება მიმდინარე წლის მარტის მონაცემებს, გაზის საშუალო დღიური მოთხოვნა 10%-ით მეტი იყო და 284 მლნ მ<sup>3</sup>-ს შეადგენდა.

## იტალიურ-ბერძნულმა ერთობლივმა საწარმომ TAP-ის კონტრაქტი მოიგო

იტალიური Renco-სა და ბერძნული Terna-ს ერთობლივმა საწარმომ ტრანს ადრიატიკული (TAP) მილსადენის საპროექტო, მომარაგებისა და მშენებლობის კონტრაქტი მოიგო ორი საკომპრესო და ერთი აღრიცხვის სადგურისათვის. მილი კასპიის

ზღვის გაზს ევროპას მიაწვდის თურქეთ-საბერძნეთის საზღვრამდე, სადაც ტრანს ანატოლიური (TANAP) მილსადენი მთავრდება. (Mustafayeva., 2016)

ერთობლივი საწარმო ერთ საკომპრესო სადგურს საბერძნეთში, თურქეთის საზღვართან ახლოს, ხოლო მეორეს - ალბანეთში ააშენებს. აღრიცხვის სადგურიც ალბანეთში განთავსდება და საბერძნეთიდან მომავალ ნაკადს გაზომავს. მშენებლობა 2016 წლის მეორე ნახევარში დაიწყება და 2 წელიწადში დასრულდება.



*Natural Gas Europe., 2016. Italian-Greek JV Wins TAP Contract.*

“Renco და Terna დამატებითი სუბკონტრაქტორების მოზიდვაზე იქნებიან პასუხისმგებელნი, რომელთაც კონტრაქტის ცალკეული ამოცანები უნდა განახორციელონ.“ - განაცხადა TAP-ის მმართველმა დირექტორმა იან ბრედშოუმ.

ტრანს ადრიატიკული (TAP) მილსადენის მეშვეობით ბუნებრივი გაზი ევროპას აზერბაიჯანიდან, შაჰ-დენიზის საბადოდან მიეწოდება. 878 კმ სიგრძის მილსადენი ტრანს ანატოლიურ მილსადენს თურქეთ-საბერძნეთის საზღვარზე შეერთდება, გადაკვეთს საბერძნეთს, ალბანეთსა და ადრიატიკის ზღვას, სანამ სამხრეთ იტალიამდე მიაღწევს.

მილსადენი ბუნებრივ გაზის საბერძნეთიდან ბულგარეთში მიწოდებასაც უზრუნველყოფს საბერძნეთ-ბულგარეთის ინტერკონექტორის (IGB) მეშვეობით.




ტექნოლოგიური სიახლეების, ენერგეტიკული ტენდენციებისა და მსოფლიო ენერგეტიკული მიღწევების ანალიზი

## IEA 2040 წლისთვის მსოფლიო ენერჯის მოხმარების 48%-ით ზრდას პროგნოზირებს

აშშ-ს ენერგეტიკის საინფორმაციო ადმინისტრაციის მიერ გამოქვეყნებული „საერთაშორისო ენერგეტიკული მიმოხილვა 2016“-ის მიხედვით, 2012-დან 2040 წლამდე მსოფლიო ენერჯის მოხმარების ზრდის პროგნოზი 48%-ით არის შეფასებული. აღნიშნული ზრდა ძირითადად იმ ქვეყნებზე მოდის, რომლებიც „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ (OECD) წევრებს არ წარმოადგენენ. მათ რიცხვს მიეკუთვნება მაღალი ეკონომიკური ზრდის მქონე სახელმწიფოები, განსაკუთრებით აზიის კონტინენტიდან. საპროექტო პერიოდისთვის OECD-ის არაწევრ აზიულ ქვეყნებზე, მათ შორის ჩინეთსა და ინდოეთზე, მსოფლიო ენერჯის მოხმარების ზრდის ნახევარზე მეტი მოდის.

ენერგეტიკულმა უსაფრთხოებამ, წიაღისეული საწვავების ემისიამ, ნავთობის მაღალმა მსოფლიო ფასებმა განახლებადი ენერჯის წყაროებისა და ბირთვული ენერჯის ფართო გამოყენება გამოიწვია. საპროგნოზო პერიოდის განმავლობაში, სწორედ განახლებადი და ბირთვული ენერჯეები წარმოადგენენ ყველაზე სწრაფად მზარდ მსოფლიო ენერჯის წყაროებს. 2040 წლამდე განახლებადი ენერჯეების წლიური საშუალო ზრდის ტემპი 2.6%-ს, ხოლო ბირთვული ენერჯის 2.3%-ს შეადგენს.



EIA., 2016., EIA projects 48% increase in world energy consumption by 2040



მიუხედავად იმისა, რომ არაწიალისეული საწვავის მოხმარება უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე წიალისეული (ნავთობის და სხვა თხევადი საწვავი, ბუნებრივი გაზი და ქვანახშირი), ეს უკანასკნელი 2040 წლამდე კვლავ მსოფლიო ენერგო მოხმარების 3/4-ს შეადგენს. მოხსენების თანახმად, ბუნებრივი გაზი, რომელიც ნაკლებად ნახშირბადტევადია, ვიდრე ქვანახშირი და ნავთობი, ყველაზე სწრაფად მზარდ წიალისეულ საწვავს წარმოადგენს, წლიურად 1.9%-იანი ზრდის ტემპით. ამ ზრდას კომპრესირებულ გაზსა და ფიქალის გაზზე გაზრდილი მოხმარება განაპირობებს.

მართალია, თხევადი საწვავები, განსაკუთრებით ნავთობპროდუქტები, ენერჯის ყველა დიდ წყაროდ რჩება, თუმცა მათი წილი ენერჯის მთლიან მოხმარებაში 2012 წლის 33%-დან 2040 წელს 30%-მდე მცირდება. გრძელვადიან პერიოდში ნავთობის ფასების გაზრდისას, ენერჯის მომხმარებლების უმეტესობა უფრო ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებზე გადაერთვება და ამით კიდევ უფრო შეამცირდება ნავთობის მოხმარება.

ქვანახშირი ყველაზე ნელა მზარდ ენერგორესურს წარმოადგენს, რომელიც 2040 წლამდე წლიურად, საშუალოდ, 0.6%-ით გაიზრდება. საპროგნოზო პერიოდის განმავლობაში ქვანახშირის ყველაზე დიდი მომხმარებელი 3 ქვეყანა იქნება: ჩინეთი, აშშ და ინდოეთი. მათი ჯამური მოხმარება ქვანახშირის მსოფლიო მოხმარების 70%-ს შეადგენს. რაც შეეხება ჩინეთს, მასზე ქვანახშირის მსოფლიო მოხმარების თითქმის ნახევარი მოდის, თუმცა შენელებული ეკონომიკის, ჰაერის დაბინძურებისა და ნახშირბადის ემისიების შემცირების ღონისძიებების გათვალისწინებით, ჩინეთი მომდევნო წლებში ქვანახშირის მოხმარებას კიდევ უფრო შეამცირებს. ქვანახშირის მოხმარება კი ინდოეთში საგრძნობლად იმატებს და 2030 წლის შემდეგ აშშ-ს მოხმარებასაც გადააჭარბებს. (EIA., 2016)

ესკო., 2016., *2016 წლის აპრილის თვის ანგარიშსწორების მაჩვენებლები*

ესკო

ვებ-გვერდი:

[http://esco.ge/index.php?article\\_id=222&clang=0](http://esco.ge/index.php?article_id=222&clang=0)

[გამოყენების თარიღი: 16 მაისი, 2016]

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირი., 2016. *საქართველოში საწვავის მოხმარება იზრდება*

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირი

ვებ-გვერდი:

<http://oilnews.ge/index.php?menuid=18&lang=1&id=4890>

[გამოყენების თარიღი: 16 მაისი, 2016]

Aiswarya Lakshmi., 2016. *US Battles Russia for European LNG Market.*

World Energy News

ვებ-გვერდი:

<http://www.worldenergynews.com/news/battles-russia-for-european-lng-market-644239>

[გამოყენების თარიღი: 16 მაისი, 2016]

Aiswarya Lakshmi., 2016. *US Battles Russia for European LNG Market. [ფოტო]*

World Energy News

ვებ-გვერდი:

<http://www.worldenergynews.com/news/battles-russia-for-european-lng-market-644239>

[გამოყენების თარიღი: 16 მაისი, 2016]

Alex Froley., 2016. *UK Gas Prices Down 37% in April.*

Natural Gas Europe

ვებ-გვერდი:

<http://www.naturalgaseurope.com/uk-gas-prices-fall-37-in-april-yr-on-yr-29459>

[გამოყენების თარიღი: 16 მაისი, 2016]

Allpetro., 2016. *«Газпром» снизил добычу газа в 1-м квартале на 1,1% до 115 млрд куб. м — МЭР РФ [ფოტო]*

Allpetro

ვებ-გვერდი:

<http://allpetro.ru/gazprom-snizil-dobychu-gaza-v-1-m-kvartale-na-1-1-do-115-mlrd-kub-m-mer-rf/>

[გამოყენების თარიღი: 16 მაისი, 2016]

EIA, 2016., *EIA projects 48% increase in world energy consumption by 2040,*

EIA

ვებ-გვერდი:

<http://www.eia.gov/todayinenergy/detail.cfm?id=26212>

[გამოყენების თარიღი: 16 მაისი, 2016]

EIA, 2016., *EIA projects 48% increase in world energy consumption by 2040.* [ფოტო]

EIA

ვებ-გვერდი:

<http://www.eia.gov/todayinenergy/detail.cfm?id=26212>

[გამოყენების თარიღი: 16 მაისი, 2016]

Energy Advisory., 2016. *KfW to provide 10 million euros for Caucasus Power Lines I project.*

Energy Advisory

ვებ-გვერდი:

<http://www.advisory.am/news.html>

[გამოყენების თარიღი: 16 მაისი, 2016]

Energy Advisory., 2016. *KfW to provide 10 million euros for Caucasus Power Lines I project.*

[ფოტო]

Energy Advisory

ვებ-გვერდი:

<http://www.advisory.am/news.html>

Energy Advisory., 2016. *World Bank Supports Improved Financial Standing and Governance in Armenia's Energy Sector.*

Energy Advisory

ვებ-გვერდი:

<http://www.advisory.am/news.html>

[გამოყენების თარიღი: 16 მაისი, 2016]

Energy Policy Turkey., N.D. *Azerbaijan Gas Potential.* [ფოტო]

Energy Policy Turkey

ვებ-გვერდი:

<http://www.energypolicyturkey.com/azerbaijan-gas-export-potential/>

[გამოყენების თარიღი: 16 მაისი, 2016]

ნოზაძე ზელა., 2016. *ავსტრალიური კომპანია ქართული ნავთობის ჩინეთში გატანას გეგმავს*

Europe for Georgia

ვებ-გვერდი:

<http://eugeorgia.info/ka/latestarticle/76/avstraliuri-kompania-qartuli-navtobis-chinetshi-gatanas-gegmavs/>

[გამოყენების თარიღი: 16 მაისი, 2016]

ნოზაძე ზელა., 2016. *ავსტრალიური კომპანია ქართული ნავთობის ჩინეთში გატანას გეგმავს* [ფოტო]

Europe for Georgia

ვებ-გვერდი:

<http://eugeorgia.info/ka/latestarticle/76/avstraliuri-kompania-qartuli-navtobis-chinetshi-gatanas-gegmavs/>

[გამოყენების თარიღი: 16 მაისი, 2016]

Hellenic Shipping News., 2016. *Iran to exceed Qatari natural gas production by 2017 from shared field.*

Hellenic Shipping News

ვებ-გვერდი:

<http://www.hellenicshippingnews.com/iran-to-exceed-qatari-natural-gas-production-by-2017-from-shared-field/>

[გამოყენების თარიღი: 16 მაისი, 2016]

Ilham Shaban., 2016. *Azerbaijan Aims for 50bn m<sup>3</sup>/yr by 2050.*

Natural Gas Europe

ვებ-გვერდი:

<http://www.naturalgaseurope.com/azerbaijan-aims-for-50bn-m/yr-by-2050-29417>

[გამოყენების თარიღი: 16 მაისი, 2016]

Kama Mustafayeva., 2016. *Italian-Greek JV Wins TAP Contract.*

Natural Gas Europe

ვებ-გვერდი:

<http://www.naturalgaseurope.com/italian-greek-joint-venture-bags-compressor-stations-contract-for-tap-29382>

[გამოყენების თარიღი: 16 მაისი, 2016]

Kama Mustafayeva., 2016. *Italian-Greek JV Wins TAP Contract. [ფოტო]*

Natural Gas Europe

ვებ-გვერდი:

<http://www.naturalgaseurope.com/italian-greek-joint-venture-bags-compressor-stations-contract-for-tap-29382>

[გამოყენების თარიღი: 16 მაისი, 2016]

Moign Khaw., 2012. *Iran gas output to exceed Qatari production by 2016 – report. [ფოტო]*

Arabian Gazette

ვებ-გვერდი:

<http://www.arabiangazette.com/iran-gas-exceed-qatar-2016/>

[გამოყენების თარიღი: 16 მაისი, 2016]

News.Az., 2016. *Shah Deniz awards \$1.5B contract.*

News.Az

ვებ-გვერდი:

<http://news.az/articles/economy/107442>

[გამოყენების თარიღი: 16 მაისი, 2016]

Oil&Gas Eurasia., 2016. *Shah Deniz Partners Award Subsea Installation Contract.*

Oil&Gas Eurasia

ვებ-გვერდი:

<https://www.oilandgaseurasia.com/en/news/shah-deniz-partners-award-subsea-installation-contract>

[გამოყენების თარიღი: 16 მაისი, 2016]

Oil&Gas Eurasia., 2016. *"Газпром" снизил добычу газа в 1-м квартале на 1,1% до 115 млрд кубометров - МЭР РФ*

Oil&Gas Eurasia

ვებ-გვერდი:

<https://www.oilandgaseurasia.com/ru/news/%D0%B3%D0%B0%D0%B7%D0%BF%D1%80%D0%BE%D0%BC-%D1%81%D0%BD%D0%B8%D0%B7%D0%B8%D0%BB-%D0%B4%D0%BE%D0%B1%D1%8B%D1%87%D1%83-%D0%B3%D0%B0%D0%B7%D0%B0-%D0%B2-1-%D0%BC-%D0%BA%D0%B2%D0%B0%D1%80%D1%82%D0%B0%D0%BB%D0%B5-%D0%BD%D0%B0-11-%D0%B4%D0%BE-115-%D0%BC%D0%BB%D1%80%D0%B4-%D0%BA%D1%83%D0%B1%D0%BE%D0%BC%D0%B5%D1%82%D1%80%D0%BE%D0%B2-%D0%BC%D1%8D%D1%80-%D1%80%D1%84>

[გამოყენების თარიღი: 16 მაისი, 2016]

Siranush Ghazanchyan., 2016. *World Bank approves US\$30 million loan for improved governance in Armenia's energy sector [ფოტო]*

Public Radio Of Armenia

ვებ-გვერდი:

<http://www.armradio.am/en/2016/04/28/world-bank-approves-us30-million-loan-for-improved-governance-in-armenias-energy-sector/>

[გამოყენების თარიღი: 16 მაისი, 2016]

The Nation., 2015., *Govt. increases sales tax on petroleum products. [ფოტო]*

The Nation

ვებ-გვერდი:

<http://nation.com.pk/national/01-Sep-2015/govt-increases-sales-tax-on-petroleum-products>

[გამოყენების თარიღი: 16 მაისი, 2016]

Вести Экономика., 2016. *"Газпром" в январе-марте сократил добычу газа на 1,1% в годовом выражении до 115 млрд куб. м, сообщает Минэкономразвития. При этом доля добычи "Газпрома" в общей добыче в стране уменьшилась на 0,8% до 68,3%.*

Вести Экономика

ვებ-გვერდი:

<http://www.vestifinance.ru/articles/70413>

[გამოყენების თარიღი: 16 მაისი, 2016]